



ლოკ. ლენგ. აბდოლ ჯონიშვი

სახოლო დოკუმენტი მისამა
უბორდებოდებოდა







დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა: 1588
ჯიბის წიგნები: 135

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი

დოქ. ფატიჰ ქურთი

კოლეგიატური

ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა

უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/21

ISBN: 978-605-7519-36-8

2019-06-Y-0003-1588

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tani. Hiz. İth. Ihr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No: 147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

საბოლოოებრივი იმინის

უნიტეტელურები



დოკ. დოქ. საბოლოო ფინანსი



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამსართველო

**სარჩევი
რწმენის პირობები**

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

1. შეზღუდული შესაძლებლობები ყურანში • 17
2. შეზღუდული შესაძლებლობების მიზეზები • 30
3. შეზღუდული შესაძლებლობების წინააღმდეგ
პრევენცია და მკურნალობა • 36
4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა
სულიერი პრივილეგიები • 42
5. შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები და
სოციალური ურთიერთობები • 44
6. უნარშეზღუდულებს საჭიროა პქონდეთ მუშაობის
საშუალება • 57
დასასრულს • 59

ნინაბრუკები

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებული არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან თჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოდათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოდა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშლი, სიდარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიღრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეო-

ბა რაღაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ დირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ დირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს დირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავნიხოთ. უმშველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქო-თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევები, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და

საზოგადოებრივი მინიჭა უნარშესავალურება

ტოლერანციურის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთობაზემდე უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

შეხვედრა

სამყაროს გამჩენი ადამიანებს რწმენის, ღვთისმსახურების, თაყვანისცემის, კეთილი საქმის, კარგი ზნეობის და მორჩილების ან კიდევ უარყოფის, ურწმუნოების, ბოროტების, ცოდვის და ცუდი ქცევის მიხედვით განიხილავს და არა მათი ქონებრივი მდგომარეობის, კანის ფერის, სქესის, ფიზიკური გარეგნობის, შეზღუდული თუ ნორმალური შესაძლებლობების და ა.შ. ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გაკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები. განასურს თქვენგან რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმაუნდა ვერ აიტანო მას. მაშ, გეშინოდეთ ალლაპის! უეჭველად, ალლაპი შემნდობია, მწყალობელია.“ (სურა ჟუჯურათი 12)

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაპის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაპი ყოვლისმცოდნეა, ყვე-

სახოფალოებრივი მინიჭია უწარშესრულება

ლაფრისმცოდნეა!“ (სურა ჰუკურათ 13)

იგივე შინაარსის მატარებელია წმ. ჰა-
დისიც: „ღმერთი არ უყურებს თქვენს გა-
რეგნობასა და ქონებას, ის თქვენს გულში
იხედება“.

ასევე ამ თემას ეხება შემდეგი აიათებიც:

„უეჭველად, ჩვენ ადამიანი „საუკეთესო
ფორმად“ გავაჩინეთ!“ (სურა თინი 4)

„გააჩინა ცანი და დედამიწა ჰეშმარიტე-
ბით. და გამოგხახათ თქვენ, შემდეგ მოგა-
ნიჭათ საუკეთესო ფორმა. და მასთანაა მი-
საქციელი!“ (სურა თედაბუნი 3)



„მერე მისცა ფორმა და ჩაბერა მასში
მისი სულისგან. და დაადგინა თქვენთვის
სმენა, თვალთახედვა და გული. ამისდა მი-
უხედავად, რაოდენ მცირეა თქვენი მადლიუ-
რება! (სურა სეჯდე 9)

უკელა ეს აიათი გვეუბნება, რომ ღმერთმა
ადამიანი საუკეთესო ფორმით გააჩინა.

ეს დედამიწა, სადაც სტუმრად ვიმყო-
ფებით, გამოცდის ადგილია. დედამიწაზე
ყოფნისას ადამიანი თავისი რწმენის, სიტ-
ყვის და ქცევების მიხედვით გამოიცდება
და ამ პროცესში შეიძლება შეხვდეს კარგ
და ცუდ, ტკბილსა და მწარე მოვლენებს,
ასევე შეიძლება პქონდეს ბედნიერი და უბე-
დური დღეები. ადამიანი ზოგჯერ შეიძლება
დიდი წყალობით გამოიცადოს, ზოგჯერ კი
მისი გამოცდის შინაარსი გაჭირვება გახ-
დეს. სადაც ადამიანი, ბუნებრივია იქნება
ავადმყოფობა, დარდი, მწუხარება და ტკი-
ვილი. იქნებაც ამ უკელაფრის გაძლების
და მოთმინების შემდგეგ დადგება ამ გამოც-
დის დადებითი შედეგი. ამიტომაა ნათქვამი:
„ოქროს ცეცხლით გამოიცდება, ადამიანი
კი- გაჭირვებით“.

თითოეული ჩვენთაგანი მუდმივად გა-
მოცდის წინაშე ვდგავართ. აუცილებლად
გვექნება ისეთი დღეები, როცა ჯანმრთე-
ლები და ბედნიერები ვიქნებით და ამას-
თანავე გვექნება ისეთი მომენტებიც, როცა

სახოფილებრივი მინიჭი უზარტებულება

პრობლემები გვექნება და წვალება მოგვიწევს. რა თქმა უნდა იქნება შემტხვევები, როცა ზოგიერთ ადამიანს მეტი უბედურება შეხვდება ხოლმე და ეს შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზეც კი გაგრძელდეს. ზოგჯერ პრობლემა თავად ადამიანის შეცდომებისგან მომდინარეობს, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ადამიანს თვითონ არაფერი შეეშალოს, მაგრამ სხვა, მისგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმა განაპირობოს პრობლემების წარმოშობა.



ყველგან არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. შეზღუდული შესაძლებლობები შეიძლება იყოს გონებრივი, სულიერი ან ფიზიკური. შეზღუდული ადამიანების მიმართ გულისხმიერება ჩვენთვის ადამი-

ანური და რელიგიური ვალდებულებაა. ისლამის მიხედვით ადამიანის მოვალეობათაგან ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოვალეობა ბავშვების, მოხუცების, ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ ყურადღების და მზრუნველობის გამოჩენაა. წმ. შუამავალი ასე იქცეოდა. ის ძალიან ყურადღებიანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების, ავადმყოფების, მოხუცებისა და მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ. ის ამ ადამიანებს საზოგადოების განუყოფელ ნაწილად განიხილავდა. მას სურდა საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების წინაშე ყველას ყურადღება გამოეჩინა და მათთვის დახმარება აღმოეჩინა.

შეზღუდული შესაძლებლობები ადამიანის გონებრივ, სულიერ ან ფიზიკურ ნაკლოვანებას გულისხმობს, რაც ხელს უშლის ადამიანს ნორმალური უნარების გამომჯდავნებაში, უჭირს ამა თუ იმ საქმის სხვების მსგავსად შესრულება და ზოგადად საზოგადოებაში ჰარმონიული თანაცხოვრება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთ ხშირად ინვალიდებსაც ეძახიან.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს ყველგან ვხვდებით, ამიტომ მათთან მოპყრობის ცოდნა და მათ მიმართ

ყურადღების გამოჩენა ძალზედ მნიშვნელოვანია. ყოველი ადამიანი ან თვითონაა რაღაც მხრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ან ასეთი ადმაიანის ახლობელია, ან თვითონაა პოტენციური კანდიდატი. მრავალი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელი და უნაკლო დაიბადა, ავტოავარიის, ან სხვა ტიპის უბედური შემთხვევის, ან ავადმყოფობის გამო დაინვალიდდა და რაღაც ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ ჩამოყალიბდა. გამომდინარე აქედან, რადგან დაზღვეული არავინაა, ყოველ ადამიანს მეტი ყურადღება და გულისხმიერება მართებს.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ როგორ უნდა მოვექცეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს. ეს უნდა იცოდეს ყველამ, ქუჩაში, სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებაში და სხვა. ამ მხრივ ყველამ თავისი გასაკეთებელი უნდა გააკეთოს. უპირველეს ყოვლისა კი საიმისო პრევენციული ზომები უნდა გატარდეს, რათა ადამიანების ამ მდგომარეობაში ჩავარდნის ალბათობა მინიმალური გახდეს. დაბადებიდან ან შემდგომში შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ ჩამოყალიბებული ბავშვების სწავლა- განათლება აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ და ასევე უნდა მივცეთ შესაფერისი დასაქმების საშუალება. მათ უნდა შეეძლოთ გართობაც, სხვა აქტივობებში ჩა-

ბმაც და ზოგადად საზოგადოებაში ინტეგრაცია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ ყურადღება, მათდამი ქცევის ცოდნა, მათი უნარების განვითარებისთვის ზრუნვა, მათთვის განათლების მიცემა და ცხოვრების ფერხულში სრულფასოვანი ჩაბმა ყველა ჩვენთაგანის ადამიანური და რელიგიური ვალდებულებაა.

მეორეს მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები საკუთარი უნარების გაუმჯობესებისთვის უნდა ზრუნავდნენ და იცავდნენ თავიანთ უფლებებს. ჯანმრთელი ადამიანები კი მუდმივად უნდა ცდილობდნენ გაუგონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთ და უნდა იცოდნენ, რომ ისინი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არიან.

ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობები მის უფლებებს და თავისუფლებას არ ზღუდავს. როგორც ჩვეულებრივი შესაძლებლობების მქონეთ, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს უფლება აქვთ ღირსეულად და თანაბარ პირობებში იცხოვონ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს მისი უნარების შესაფერისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა უნდა გააჩნდეს. ამ მხრივაც უნდა იყოს დაცული ადამიანის

საზოგადოებრივი მინიჭა უწარშესავალი

უფლებები და სამართლიანობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა პრობლემების კარგი ანალიზი რომ ჩავატაროთ, იქნებაც აღმოჩნდეს, რომ ამის მიზეზი ჯანმრთელები უფრო არიან, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა მიმართ სედვა, მათი პრობლემის წარმოშობის მიზეზები, მათი სულიერი უპირატესობები და მათი ადგილი სოციალურ სფეროში.



1. შებერებული შესაძლებლობების უკრისტიანი

ყურანში სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების შესახებაა საუბარი, მაგალითად მხედველობის, სმენის, გონებრივი და სხვა. ამ ტიპის დაავადებების, სმენის, მხედველობის, მეტყველების და გაგების შეზღუდულობის შესახებ ყურანში მოცემულ აიათებში გადატანითი მნიშვნელობითაა საუბარი. ფიზიკური გაგებით შეზღუდული შესაძლებლობების და ავადმყოფობის შესახებ შედარებით ნაკლები აიათია მოცემული. მაგალითისათვის მხედველობის უნარშეზღუდულობის შესახებ წარმოდგენილ აიათებზე ვისაუბრებთ:

მხედველობის უნარშეზღუდულობის შესახებ ყურანის 28 აიათშია საუბარი. გარდა ამისა, მხედველობის უნარშეზღუდულობა სამი სხვადასხვა კუთხითაა განხილული: ფიზიკურად მხედველობის უნარშეზღუდულობა, გადატანითი მნიშვნელობით მხედველობის უნარშეზღუდულობა და საიქიოში მხედველობის უნარშეზღუდულობა.

2. ჯაზაური ჩამდებელობის შევეღელობის უნარ შებერებულის

ფიზიკური მნიშვნელობით მხედველობის უნარშეზღუდულობა ნიშნავს დაბადებიდან

ან შემდგომში რაიმე დაზიანების შედეგად ორივე თვალიდან მხედველობის უნარის არქონას. ყურანში ასეთი ადამიანები რამოდენიმე მიზნითაა ნახსენები. მათ შორის მიმსგავსების, მკურნალობის, სოციალური ურთიერთობის და ა.შ. მაგალითისთვის თოვეულ მათგანს მოკლედ შევეხებით:

ა. ყურანის აიათებში ღმერთი ურწმუნებსა და უარმყოფელებთან, მორწმუნების შედარებისას ურწმუნებსა და უარმყოფელებს ბრძებსა და ყრუებს ადარებს, ხოლო მორწმუნები იმ ადამიანებს არიან შედარებულნი, რომელთაც კარგად ესმით და ხედავენ.

„ამ ორი ჯგუფის მდგომარეობა ბრმა-ყრუსი და მხედველ-გამგონის მდგომარეობას ჰგავს. განა შეიდრება მათი მდგომარეობა? ნუთუ არ დაფიქრდებით?“ (სურა ჰუდი 24)

აიათში კონკრეტული მდგომარეობის შესაბამისად შედარებაა გაკეთებული. მხედველობის და სმენის უნარშეზღუდულების მიმართ არანაირი დისკრიმინაციული დამოკიდებულება არ იგულისხმება.

ამ აიათის წინა აიათებში, კერძოდ 18-19 აიათებში საუბარია ადამიანებზე, რომლებიც ღმერთის წინააღმდეგ გამოდიან, ადამიანებს სწორი გზიდან აცდენენ და ცდილობენ ღმერთის გზა მცდარად წარ-

მოაჩინონ. ასეთი ადამიანები აუცილებლად საზიანო რამეს გადაეყრებიან. შემდეგ აი-ათში, კერძოდ 23-ე აიათში კი საუბარია მორწმუნებ, დმერთხე მიკედლებულ, კეთილი საქმის მოყვარულ ადამიანებზე. ბოლოს კი 24-ე აიათში ამ ორი ჯგუფის შედარებაა დაფიქსირებული. ურწმუნო, გზასაცდენილი ადამიანები შედარებული არიან ბრმასა და ყრუს, რადგან მათ არ ესმით ჭეშმარიტება და ვერც ხედავენ. მორწმუნები კი კარგი მხედველობისა და სმენის ადამიანებთან არიან შედარებული.

ფიზიკური მნიშვნელობით ბრმა და ყრუ რა თქმა უნდა განსხვავებული არიან ჯანმრთელ ადამიანთან შედარებით. სწორედ ასეთი განსხვავებაა სულიერების თვალსაზრისით მორწმუნესა და ურწმუნოს შორის. ყურანში ამგვარი შედარება იმიტომაა გაკეთებული, რომ მკითხველისთვის თემა უფრო ნათელი და გასაგები გამხდარიყო. ღმერთის წინაშე, სმენისა და მხედველობის არმქონე მორწმუნე უფრო მეტად დაფასებულია, ვიდრე სრულიად ჯანმრთელი, მდიდარი და საზოგადოებაში დაფასებული ურწმუნო.

პ. სოფიანური ურთიერთობის თეოლისტურისამ

„ცოდვად არ ეთვლება ბრმას, კოჭლს, ავადმყოფს და თავად თქვენც, თუ შეჭამთ

სახოფილებრივი მინიჭი უზარტებელულია

თქვენს სახლებში, ან დედ-მამის, და-ძმების, ბიძების სახლებში (დედის და მამის მხრიდან), ან მამიდების და დეიდებისა სახლებში, რომლის გასაღებიც თქვენს განკარგულებაშია, ან თქვენი მეგობრის სახლში. ცოდვად არ ჩაგეთვლებათ თუ შეჭამთ ერთად ან ცალ-ცალკე. როცა შედიხართ სახლში, მიესალმეთ ერთმანეთს ალლაპის სახელით, მომმადლებელისა და კეთილის. ასე გაგიმარტავთ თქვენ ალლაპი აიათებს, ეგებ გონს მოეგოთ!“ (სურა ნური 61)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს რა მხრივ არ ექმნება პრობლემები? როგორც აიათის მოვლინების მიზეზი, ისლამის სწავლულების მხრიდან შემდეგი საკითხებია წინ წამოწეული:



1. როდესაც მუსლიმები სალაშქროდ შორს მიდიოდნენ, სახლების გასაღებებს სწორედ იმ ადამიანებს უტოვებდნენ, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდათ, ან დაავადებულები იყვნენ. ეს ადამიანები ომში წასული ადამიანების სახლებს ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ იქ ჭამა ერიდებოდათ და ამ აიათით სწორედ ამის უფლება მიეცათ. მათ შეეძლოთ დატოვებულ სახლებში დანაყრებულიყვნენ.

2. „არაკანონიერად არ შეუჭამოთ ერთმანეთს ქონება და არ ჩაიდინოთ შეგნებულად ეს; ქრთამი არ მისცეთ მსაჯულთ, რათა ხალხს ქონების ერთი ნაწილი შეუჭამოთ უსამართლოდ.“ (სურა ბაყარა 188) ამ აიათით ღმერთმა ადამიანებს არალეგიტიმური გზებით საკვების მოპოვება აუკრძალა. საკვები ყველაზე ძვირფასი საქონლია. მათაც, სხვისი საკვების ჭამა ჩვენთვის ალალი არ არისო, თქვეს და ღმერთმაც ზემოთ ხსენებული აიათი მოავლინა.

3. შუამავლის მოვლინებამდე მედინას ხალხი ამ ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების ქქონე ადამიანებთან ერთად საჭმელს არ მიირთმევდნენ და მათთან ერთად მაგიდასთან არ სხდებოდნენ. ამ აიათის მოვლინების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახდა და ამის შემდეგ ამ ადამიანებთან ერთად ყველამ საჭმლის ჭამა დაიწყო.

4. ეს აიათი იმ ადამიანების შესახებ იქნა მოვლენილი, რომლებიც ჯიპადში მონაწილეობას ვერ იღებდნენ და მათ ამ საკითხში ნებართვა მიეცათ.

გ. ნებართვა

„ცოდვად არ ეთვლება ბრმას, კოჭლს, ავადმყოფს. ხოლო ვინც მორჩილებს ალლაჟს და მის შუამავალს, შეიყვანს იმას სამოთხეში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. ხოლო ვინც ზურგს იბრუნებს, იგი დასჯის მას მწარე სასჯელით.“ (სურა ფეთიში 17)

ეს აიათი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის დატიური ნებართვაა, რომ მათ ომის მსგავს სიძნელეებში მონაწილეობა არ მიიღონ. აიათში არ არის ნახსენები, რომ მათ რელიგიური ვალდებულებებიც არ გააჩნიათ. აქ მითითებულია, რომ მათ გაადვილებული აქვთ რელიგიური რიტუალების შესრულების ვალდებულება და ასევე ნებართვა აქვთ არ მიიღონ მონაწილეობა ისეთ როლში მოვალეობების შესრულებაში, როგორიცაა საღვთო ომში წასვლა. არავითარი შეზღუდული შესაძლებლობა ადამიანს ღმერთის მონობისგან არ ათავისუფლებს. თუმცა, ისლამი ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით ავალდებულებს. (იხ ბაყარა 284)

ღ. ჩამბეჭდის პანგუბას თეოლითურისათ

ღმერთისა და შუამავლის დამჯერი ბრმა ადამიანი ღმერთის წინაშე უფრო პატივ-დებულია, ვიდრე ჯანმრთელი, მდიდარი და პოპულარული სხვა ადამიანი, რომელსაც ღმერთის არ სწამს. ეს მითითებულია სურა ღებესეს პირველ თორმეტ აიათში. ერთხელ შუამავალი მექას წარჩინებულებიდან ებუ ჯკილს, უმეიე ბინ ები ჰალეფს, აბბას იბნი ‘ებდულმუტბალიბს და ‘უთბე ბინ ები რუბიას შეხვდა და ისლამის მიღება შესთავაზა. ისლამის გაძლიერების თვალსაზრისით ამ ადამიანების ისლამში შესვლა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. შუამავალი უმეიე იბნი ჰალეფს ესაუბრებოდა და ამ დროს ფიპრის გვარიდან ‘ებდ ალლაჰ იბნ უმმი მექთუმი მოვიდა, რომელიც ბრმა იყო და შუამავალს სთხოვა ყურანიდან აიათი წაეკითხა. შუამავალს არ უყვარდა როცა სიტყვას აწყვეტინებდნენ, ამიტომ უკმაყოფილება შეეტყო და სახე ისევ თანამოსაუბრებისკენ მიატრიალა. სწორედ ამის თაობაზე მოევლინა სურა ღებესეს აიათები: „მოიქუფრა და სახე შეაქცია, რადგან ბრმა მოვიდა მასთან. უნდა რამ გამცნოს შენ: ეგაბ განწმენდა სურს მას, ან მიიღოს შეგონება და უშველოს შეგონებამ მას?! მაგრამ ვისაც შეგონება არ ესაჭიროება, თუმცადა შენ მიიღოვი მისკენ, და არაა ვალი შენი, განიწმინდება თუ არ იგი! მაგრამ ვინც მოგეახლოს წადილით და

სახოფილებრივი მინიჭი უწარშესრულება

შიშობს ღმერთისგან იგი, მაგრამ შენ არ აქ-
ცევ ყურადღებას მას! არა! უგველად, იგია
შეგონება! და ვინც ინებებს, შეიგონებს იგი!

(80/1-12)

ამის შემდეგ შუამავალმა ‘ებდ ალლაჰ იბნი მექტუმი მოინახულა, ყურადღებით მოუსმინა და მის მიმართ გულისხმიერება გამოიჩინა. ‘ებდ ალლაჰ იბნი მექტუმი შუამავლის მეუღლის ხატიჯეს ბიძაშვილი იყო. ის ერთ-ერთი მათთაგანი იყო, ვინც მე-დინაში პირველი პიჯრას დროს გადავიდა. შუამავალს ორჯერ ახლდა საღვთო ომში. შუამავალმა ის 13-ჯერ თავდებით დატოვა მედინას დამცველად. იყო შუამავლის მუეზინი. ენეს იბნი მალიქის გადმოცემით ქადისიეს ომის დროს ‘ებდ ალლაჰ იბნ მექტუმი შავი დროშით და იარაღით იდგა. არ-სებობს ვარაუდი, რომ ის ამ ომში დაიღუპა როგორც შეჰიდი.

ე. მუჟავალის თაღების მიხედვით

ყურანის ორ აიათში გადმოცემულია ინ-ფორმაცია იმის თაობაზე, რომ სუამავალი ისა (იესო) ღმერთის დახმარებით დაბადებიდან უნარშეზღუდულებს მკურნალობდა.

პ. შეჯდელობას უკანონო გადასახათ შაბაზე- ლობათ

გადატანითი მნიშნელობით სიბრმავეში მხედველობის არქონა კი არ იგულისმხება, არამედ ჭეშმარიტების დანახვის უნარის არქონა. ყურანის აიათებში ურწმუნოებს და თვალომაქც, მოჩვენებით მორწმუნეებს ღმერთი ბრძებად მოიხსენიებს.

„ჰკითხე: „ვინ არის ღმერთი ცათა და მიწის?“ უპასუხე: „ალლაჰია!“ უთხარი: განა დაიდგინეთ მის გარდა მფარველები, რომელთაც არ ძალუდო არგონ ან ავნონ საკუთარ თავსაც კი?“ უთხარი: „განა, თანასწორია ბრმა და მხედველი ან წყვდიადნი და ნათელი? ნუთუ დაუდგინეს ალლაჰს თანაზიარნი, რომელთაც ალლაჰის გაჩენის მსგავსად გააჩინეს რაიმე და ეს გაჩენა მათ მსგავსი მოეჩვენათ? უთხარი: „ალლაჰია გამჩენი ყოველივესი, და იგი ერთადერთია, ძლევამოსილია!“ (სურა რა'დი 16)

ამ აიათში ნახსენები „ბრმა და მხედველი“ გადატანითი მნიშნელობითაა ნახსენები და იგულისხმება ურწმუნო და მორწმუნე ადამიანი.

„უთხარი შენ: „მე არ გეუბნები, ჩემთანაა ალლაჰის საუნჯენი და არც იმას, რომ ვუწყი უხილავს; და მე არ გეუბნებით, ანგელოზი ვარ. მე მხოლოდ იმას მივყვები,

რაც ზემომევლინა.“ უთხარი შენ: „განა თანასწორია ბრმა და მხედველი? ნუთუ არ დაფიქრდებით?“

ამ უკანასკნელ აიათში კი ბრმა ეწოდება იმ ადამიანს, რომელიც ღმერთს ეწინააღმდეგება და უარყოფს, ხოლო მხედველია ის ადამიანი, რომელიც ალლაჰს ერთადერთ ღმერთად ადიარებს.

როდესაც ადამიანის თვალები მხედველობის უნარს დაკარგავენ, ამ ადამიანს ეწოდება ბრმა. ასევე ბრმაა ის ადამიანი, რომელიც გულდახშულია და ჭეშმარიტებას ვერ იმეცნებს. ყურანში სიბრმავე სულ 29-ჯერაა ნახსენები და ამათგან 25 „გულის სიბრმავეს“ გულისხმობს.

„გულის სიბრმავეში“ ჭეშმარიტების დაუნახაობა, მათ განჭვრეტის უნარის არ ქონა და მოვლენებისგან სათანადო დასკვნის გამოტანის შეუძლებლობა იგულისხმება. ადამიანი, რომელსაც გულის ხედვა ბრმა აქვს ის ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტებასა და სიცრუეს. ასეთი ადამიანი ურწმუნოებას თავს ვერ დააღწევს და მორწმუნედ ვერ შეიქმნება. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ხედავს, ამ დანახულისგან მაგალითს ვერ იღებს, სამყაროს გამჩენის არსებობას ვერ ამჩნევს, ასეთი ადამიანი ყურანის მიხედვით „ნამდვილად ბრმაა“

გ სიბრძნეები სისწოდე

უკანასკნელი ამ თემასთან დაკავშრებით არ-
სებობს აიათები:

„ხოლო ვინც ჩემს შეხეხებას სახეს შე-
აქცევს, მაშინ უეჭველად, მისთვის ცხოვრე-
ბაა მტანჯველი და აღვადგენთ მას აღდგო-
მის დღეს ბრმად.“ (სურა ტაპა 124)

„ჰკიოთხავს: „დმერთო ჩემო! რატომ აღმა-
დგინე ბრმად, მე ხომ ადრე მხედველი ვი-
ყავი?“

უპასუხებს: „აი, ასე! შენთან მოვიდა ჩვენი
აიათები, მაგრამ შენ ისინი დაივიწყე. ამი-
ტომაც დღეს თავად იქნები დავიწყებული!““
(სურა ტაპა 125, 126)

„და ვისაც ალლაპი დაადგენს ჭეშმარიტ
გზაზე, იგი ნამდვილად ჭეშმარიტ გზას ად-
გას. და ვისაც ააცდენს ჭეშმარიტ გზას,
შემწედ ვერავის უპოვი მათ, გარდა მისი.
აღდგომის დღეს აღმოვაცენებთ თავიანთი
სახეებით მათ მოფორთხიალეს, ბრმას, მუნ-
ჯს, ყრუს. მათი სამკვიდრო ჯოჯოხეთია.
როგორც კი ჩაქრობას დიწყებს, მოვუმატე-
ბთ მათ მოგიზგიზე ცეცხლს!“ (ისრა 97)

წარმოდგენილ აიათებში ნახენები სიბრ-
მავე პირდაპირი მნიშვნელობით იყო თუ
გადატანითი, ამის შესახებ ისლამის სწავ-
ლულები ხშირად მსჯელობდნენ და კამა-

თობდნენ. იმ ნაწილის აზრით რომელიც ამტკიცებდა, რომ მხედველობა, ან სიბრძავე აქ გადატანითი მნიშვნელობით იყო გამოყენებული, სიბრძავე გულისხმობდა ისეთი რამების დაუნახაობას, რომლებიც მათ გაახარებდა და გააბედნიერებდა. რაც შეეხება იმ ჯგუფის მოსაზრებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ აიათში გამოყენებული ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით იყო გამოყენებული, მათი აზრით სურა მუმინის 108-ე აიათში მოცემული განმარტებიდან გამომდინარე ისინი ბრძები, ყრუები და მუნჯები იქნებიან. (იხ აგრეთვე ქვეყნი 53, ფურუანი 12, მულქი 7)

ღმერთმა ადამიანს ორი სახის თვალები უბოძა. ამათგან ერთი ხილულია, ხოლო მეორე უხილავი. ეს უკანასკნელი გულის ხედვას გულისხმობს. (იხ, ისრა 36)

ადამიანს იმ თვალების საშუალებით, რომლებიც ფიზიკურად მის მხედველობას უზრუნველყოფს შეუძლია დაინახოს კონკრეტული საგნები და არსებები. თუმცა ამ თვალების საშუალებით შეუძლებელია ისეთი რამების დანახვა, როგორიცაა ღმერთი, სული, გონება, გრძნობები, სინდისი, ანგელოზები და სხვა.

სამყაროში არსებულ მოვლენებზე დაკვირვებისას მათში სასწაულის დანახვა და ამ ყველაფრის ღმერთის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად აღქმა სწო-

რედაც რომ „გულის თვალით“ არის შესაძლებელი. ასეთი მოვლენებია წელიწადის დროების ცვალებადობა, პლანეტების მოძრაობა, ცხოველთა სამყაროში არსებული უნიკალური წონასწორობა და წესრიგი, ადამიანის უნიკალური თვისებების მატარებელ არსებად გაჩენა და სხვა მრავალი მსგავსი.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თვალებს იყენებენ, რათა სამყარო და საგნები დაინახონ და არსებობენ ისეთებიც, რომლებიც იყენებენ როგორც თვალებს, ისე გულის ხედვას და ისინი ბუნებრივია გაცილებით მეტს ხედავენ. თუმცა ასეთები შედარებით ცოტანი არიან. ყურანში ასეთ ადამიანებზე საუბრისას ნათქვამია, რომ მათ გულის ხედვა დახშული აქვთ.

„განა არ უმოგზაურიათ დედამიწაზე, მათ გულს განა არ შესწევდა გაგება, ხოლო ყურებს შესმენა? უეჭველად, თვალი კი არ ბრმავდება, არამედ გული მკერდში! (სურა ჰაჯი 46)

ადამიანის პირდაპირი მნიშვნელობით სიბრმავე გაცილებით უმნიშვნელოა, ვიდრე გულის ხედვის არქონა და ამგვარი სიბრმავე. ეს უკანასკნელი ხომ ღვთიური ჭეშმარიტებების ხილვას აფერხებს. თუ ადამიანს გულისმიერი ხედვა ძალუბს და თვალებით ვერ ხედავს საიქიოშ ეს მას ზიანს არ მოუტანს, მაგრამ თუ პირიქითაა, ანუ ადამიანი

ბრმა არ არის, მაგრამ გულისმიერი ხედვა დახშული აქვს, საიქიოში ეს მისთვი საზიანო იქნება. ამქვეუნად ცხოვრებისას დაბრმავებული ადამიანი თუ გულის ხედვას შეინარჩუნებს, ეს მისთვის დროებითი სიბრმავე იქნება და საიქიოშ, ანუ მუდმივ სამყოფელში ის თვალახელილი და ბედნიერი იქნება. ხოლო ისინი, ვინც გულის ხედვას დაკარგავენ, ღვთიურ ჭეშმარიტებას ვერ შეიმეცნებენ და არ იწმებენ, მათთვის საიქიო ბედნიერება უხილავი დარჩება. იგივე ეხება გონების, ენის და სმენის არმქონეთაც.



2. ჟერული ჟესტურებლობების შესწება

რატომ არიან ადამიანები თანდაყოლილი ან შემდგომში ჩამოყალიბებული შეზღუდული შესაძლებლობებით? რა არის ამის მიზეზი? ყურანის მიხედვით მხედველობის,

სმენის, მეტყველების, აზროვნების და მსგავსი სულიერი და სხვა ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მიზეზებად ორი ფაქტორი განიხილება. ამათგან ერთი ლპ-თიური ნება და გამოცდაა, ხოლო მეორე-ადამიანური ფაქტორები.

ა) ლილური ნება და გამოცდა

ყოველი ვნება და ზიანი, რაც შეიძლება ადამიანს სულიერად ან ფიზიკურად შეეხოს დმერთის ნების გარეშე ვერ განხორციელდება. დმერთის ნების გარეშე ადამიანი ვერავითარი მცდელობის შედეგად უბედურებას, შარს ან რაიმე პრობლემას ვერ გამოიწვევს. ამის დასტურია შემდეგი აიათი:

„არანაირი სიავე არ ეწევათ, თუ არა ნება ალლაპისა.“ (სურა თევდაბუნი 11)

ყველაფერი რაც ადამიანზე ცუდად მოქმედებს, ზოგადად რომ ვთქვათ უბედურებაა. გამომდიარე აქედან ადამიანის ავადმყოფობა და ნებისმიერი ორგანოს ტკივილი მისთვის უბედურებაა. ეს უბედურება დმერთის ნების გამოხატულებაა და მისი ნება-სურვილით ხორციელდება. დმერთის ნების გარეშე ადამიანის ორგანიზმში არც რაიმე დაავადება გაჩნდება და არც სიკვდილის მომენტი დადგება. (იხ. ალი იმრან145)

სახოფლეოებრივი მინიჭა უწარშესრულება

ადამიანის თავზე დატრიალებული უბე-
დურება ღვთიური გამოცდა შეიძლება იყოს.
ამის შესახებ საუბარია შემდეგ აიათებში:

„და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა
შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და
ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთ-
მენთ,“ (სურა ბაყარა 155)

„ყველა სული იგემებს სიკვდილს. და
ჩვენ გცდით თქვენ სიავითა და სიკეთით,
თუ როგორ მოიქცევით. და ჩვენთან იქნე-
ბით მობრუნებულნი!“ (სურა ენბია 35)

სინამდვილეში ადამიანისთვის სიცოცხ-
ლეც და სიკვდილიც გამოცდაა. ერთი რამ
აუცილებლად ყველამ უნდა ვიცოდეთ და
ამის გვწამდეს, რომ ამქვეყნად ყოველი ცო-
ცხალი არსების გამჩენი, მაცოცხლებელი, მა-
საზრდოებელი და მომაკვდინებელი მხოლოდ
და მხოლოდ ღმერთია. მხოლოდ ის აღს-
რულდება რასაც ღმერთი ინებებს. დაბადება,
სიკვდილი, ბუნებრივი მოვლენები, კარგი და
ცუდი, ზოგადად ყველაფერი ღმერთის ნება-
სურვილის შესაბამისად ხდება. გამომდინარე
აქედან, ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, ადამი-
ანის სხეულის და ქონების სასიკეთო და სა-
ზიანო რაცაა ღმერთს ნებით ხორციელდება.
(იხ. სურა ჰადიდი 2, სურა ფურყანი 2)

ადამიანი მუდმივად უნდა უფრთხილდე-
ბოდეს საკუთარ ჯანმრთელობას და ქონე-

ბას. ის მუდმივად უნდა ცდილობდეს სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოებას. ეს დვთიური ბრძანებაა. თუმცა, შესაძლებელია ყველანაირი პრევენციის მიუხედავად ადამიანი უბედურების პირისპირ აღმოჩნდეს.

მეორეს მხრივ, ადამიანის თავს დატრიალებული უბედურება დვთიური კანონია. ამის შესახებ ყურანში მრავალ ადგილასაა საუბარი. წარმოგიდგენთ რამოდენიმე აიათს:

„უთხარი: არაფერი გვეწევა, გარდა, რაც ჩვენზე დაწერა ალლაჰმა. იგია ჩვენი მფარველი. დაე, მხოლოდ ალლაჰს მიენდონ მორწმუნენი!“ (სურა ოვაბდ 51)

„არ გწევით სიავე სიავეთაგან არც დედამიწაზე და არც თქვენს სულებს, რომ არა იყოს წინგში, ვიდრედა მას მოვახდენდეთ. უეჭველად, ეს იოლია ალლაჰისთვის!“ (სურა ჰადიდი 22)

ამ აიათებით ცნობილია, რომ ყოველი უბედურება, რაც კი ადამიანს შეიძლება შეემთხვეს ბედისწერის წიგნში დაწერილია. ეს ყველაფერი რომ ადრიდანვე დაწერიალია, ამის მიზეზი შემდეგ აიათშია განმარტებული:

„რათა არ იდარდოთ იმაზე, რაშიც ხელმოცარული დარჩით და არ იხაროთ იმით,

რაც მოგმადლათ, რამეთუ ალლაპს არ უყ-
ვარს თავმომწონე, ამაყები,“ (სურა ჰადიდი 23)

აიათის მიხედვით ღმერთი ბრძანებს, რომ
უბედურების ჟამს ძალიან არ უნდა დავ-
მწუხადეთ და ისტერიკაში არ ჩავვარდეთ,
რადგან ეს ყველაფერი ღმერთის ნება და
კანონია. „ასე რატომ მოხდა, ეს უსამართ-
ლობაა“ და სხვა მსგავსი ფრაზები უსარ-
გებლოა. ადამიანმა ამ დროს უნდა დაფიქრ-
დეს, რომ ეს ყველაფერი ღვთიური ნების
გამოვლინებაა და მოთმინება გამოიჩინოს.
მოთმინებაში უბედურების თავიდან აცილე-
ბის მცდელობა და უბედურების შემდეგ გა-
მოსავალი გზების ძიებისგან ხელის აღება
არ იგულისხმება.

ბ) აღამიანის ნიულოდინება

უბედურების და პრობლემების წარმო-
შობისას ღვთიური ნების გამოვლინების
პროცესში ადამიანის ქცევებს მნიშვნელო-
ბა ენიჭება და ეს მრავალ აიათშია გადმო-
ცემული.

„და რაც სიავეთაგან გეწიათ იმისთვისაა,
რაც მოიხვეჭა ოქვენმა ხელებმა და მოგი-
ტევებთ მრავალთა.“ (სურა შურა 30)

აიათების და ჰადისების მიხედვით ადა-
მიანის თავს გადახდენილი უბედურების მი-

ზეზად მათ მიერ ჩადენილი შეცდომები, ნაკლოვანებები და სხვა ბოროტი საქმინობაა.

მორწმუნე ადამიანი ღვთიურ კანონებს და ზოგად წესებს უნდა ემორჩილებოდეს. მაგალითად, თუ ადამიანი არ გაუფრთხილდება ჯანმრთელობას, არ შეარჩევს საკვებს და არ დაიცავს სისუფთავეს, ავად გახდება. საგზაო მოძრაობის წესებს თუ არ დაიცავს, ავარიაში მოყვება და ამის შედეგად ან დაზიანდება ან კიდე შეიძლება სიცოცხლეც დაკარგოს. პრობლემა აქ ადამიანმა საკუთარ თავში უნდა ეძებოს. მორწმუნე ადამიანის გადმოსახედიდან, ყოველი უბედურება რაცარუნდა ღმერთის ნებით ხდებოდეს, სწორი არ იქნება ღმერთის მიერ გამოგზავნილ სასჯელად წარმოვიდგინოთ.

თვით შუამავლებსაც კი შეხვედრიათ უბედურება. მაგალითად, შუამავალი ია'ყუბი (იაკობი) ცალი თვალიდან დაბრმავდა. შუამავალი ეუბი კი ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობით იტანჯებოდა. შუამავალ მუჰამმედსაც ტაიფში ქვებით ჩაქოლვა დაუპირეს და ნასროლი ქვებით ფეხები დაუსისხლიანეს, ხოლო უჰუდის ბრძოლის დროს კბილი ჩაემტვრა და სახე დაუზიანდა. არადა შუამავლები ცოდვის ჩადენისგან დაცულნი არიან ანუ უცოდველნი ადამიანები. გამომდინარე აქედან ყოველი უბედურების უკან ცოდვის ან ნაკლოვანების ძებნა მარ-

თებული არ არის.

კი მაგრამ, რატომ შეემთხვათ შუამავლებს უბედურებები? იმიტომ შეემთხვათ, რომ ისინი ადამიანებისთვის სამაგალითოდ არიან წარმოგზავნილები და როგორც სხვა დროს, ისე უბედურების უამსაც სამაგალითოდ იქცევიან.

3. შეღუდული შესძლებლობების ნინაიდმდებ პერენეცია და მუქნალობა

სარწმუნოების მიზანი ადამიანის სიცოცხლის, ქონების, სინდისის, შთამომავლობის და სარწმუნოების დაცვაა.

სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ადამიანის მოკვდინება ან თვითმკვლელობა კატეგორიულად აკრძალულია და ის ჰარამადაა შერაცხული. ასევე აკრძალული ისეთი ქცევები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში იქნება. მაგალითად ასეთია მომწამვლელი, გაფუჭებული, ან შენახვის ვადაგადაცილებული საკვები პროდუქტების მოხმარება, ალკოჰოლური სასმელების დალევა, ნარკოტიკის გამოყენება და სხვა. (იხ. სურა ისრა 33, სურა ნისა 29,30,93)

ასევე აკრძალულია არასწორი კვება, სიცივეზე და სიცხეზე მოუფრთხილებლობა, სისუფთავის დაუცველობა, ექიმის რჩევების

გაუთვალისწინებლობა, უბედური შემთხვევის გამომწვევი ქცევა, სამუშაო და საგზაო წესების დაუცველობა და სხვა მსგავსი. ამგვარი ქცევები სურა ბაყარას 195-ე და სურა ნისას 29-ე აიათებში მოცემული ბრძანებების მოქმედების სფეროს განვითარება.

„გაიღეთ ალლაპის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფოთხეში თქვენივე ხელით“ (სურა ბაყარა195)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთ-მანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთობანსმობით. და თავი არ მოიკლათ. (სურა ნისა 29)

რელიგიური ვალდებულებების შესრულება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანი ჯანმრთელია. დაავადებული ადამიანი ვერ იმარხულებს, პაჯად ვერ წავა და წმინდა ადგილების მოლოცვას ვერ შეძლებს და გარდა ამისა ის ვერც ღმერთის გზაზე იმუშავებს. რელიგიური ვალდებულებების შესრულებისას ადამიანის გონიეროვი სიჯანსაღე აუცილებელი პირობაა. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია იმ კუთხით, თუ რაოდენ მნიშნელობას ანიჭებს ისლამი ადამიანის ჯანმრთელობას. შუამავალი მორწმუნებებს აფრთხილებდა სიკეთე ეკეთებინათ სანამ ავად გახდებოდნენ და

ამას ვეღარ შეძლებდნენ.

ადამიანი დაავადებებისკენ მიდრეკილია, რადგან „სუსტადაა გაჩენილი“. (იხ. ისრა 33, ნო-სა 29,30,93) ადამიანი შეიძლება ყველანაირად ფრთხილად იქცეოდეს და სწორად ცხოვ-რობდეს, მაგრამ მაინც ავად გახდეს ან ავა-რიაში მოყვეს. ასეთ შემთხვევაში მიზეზი შეიძლება იყოს თვითონ ან სხვა ადამიანი, ან კიდე ღვთიური გამოცდის გამოვლინება. (იხ. ბაყარა 155)

ისლამის მოწოდების თანახმად ადამიანი დაავადებებს, ინვალიდობას და სხვა მსგავს უბედურებას გამძლეობით უნდა შეხვდეს და შეებრძოლოს, რათა გამოჯანმრთელ-დეს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნ-დეს. დაავადება რა სახისაც არ უნდა იყოს, ადამიანი ვალდებულია შესაბამისი ზომები მიიღოს და გამოჯანმრთელებას შეეცადოს. ისლამის მიხედვით ავადყოფობისას ადა-მიანმა ორი რამ ერთდროულად უნდა გა-აკეთოს: დმერთისგან შვება ითხოვოს და იმკურნალოს.

ლჟერთხების შეგნის თხოვნა

ადამიანი რომ ავად გახდება დმერთს შვება უნდა შეთხოვოს და გამოჯანმრთე-

ლებისთვის შეევედროს. სწორედ ღმერთის-განაა დარდიც და შვებაც. სწორედ ღმერთ-მა გააჩინა სხვადასხვა ნივთიერებები თავი-ანთი სამკურნალო თვისებებით.

„რომელმაც გამაჩინა მე, სწორედ იგი და-მადგენს ჭეშმარიტ გზაზე!

იგია, რომელიც მაჭმევს და მასმევს!

და როცა ავად ვხვდები, სწორედ იგია, რომელიც გამომაკეთებს!

რომელიც მომაკვდინებს და მერე გამა-ცოცხლებს!

რომელსაც ვსასოებ, რომ შემინდოს შე-ცოდებები ჩემი განკითხვის დღეს! (სურა შუა-რა 77-81)

ცნობილია, რომ როდესაც შუამავლის ოჯახის წევრებიდან, რომელიმე ავად გახდებოდა შუამავალი შუბლზე ხელს დაადებდა და ღმერთს მისთვის შვებას სთხოვდა.

ავადმყოფობას გარდა ფიზიკური მიზე-ზებისა სულიერი მიზეზებიც გააჩნია. შუა-მავალი ე.წ. თვალის ცემის შესახებ ამბობ-და, რომ ის მართალია. გამომდინარე აქედან ფიზიკურ დაავადებას შეიძლება ჰქონდეს სულიერი მიზეზებიც.

დღეს უკვე ცნობილი ფაქტია, რომ სულიერი და გონებრივი დაავადებების კვლევისას ფიზიკური დარღვევის გარდა სულიერ მიზეზებსაც იკვლევენ და ამ ყველაფრის გათვალისწინებით ცდილობენ ეფექტური მკურნალობის პროცესის განხორციელებას. გარდა ამისა ცნობილია ასევე, თუ როგორ მკურნალობდნენ მუსიკის გამოყენებით უხსოვარი დროიდან.

ადამიანების მიერ დმერთზე მინდობა და ნამდვილი შვების მისგან მოლოდინი მათ განწყობას ამაღლებს და დაავადებების მიმართ უფრო მხნედ და გამძლედ აქცევს ეს არათუ სულიერი, არამედ ფიზიკური დაავადებების დროსაც საკმაოდ ეფექტურია. ადამიანის მორალური მდოგომარეობა და განწყობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამიტომ მას ხშირად იყენებენ სამედიცინო პირობების არ ქონის პირობებში, ან იმ მედიცინის დამხმარე ფაქტორად.

8) ჰუმინისტური

დასწეულების შემთხვევაში გარდა დმერთის მიმართ შვების ოხოვნისა და ვედრებისა აუცილებელია მკურნალობის მიზნით ექიმთან მისვლა და მკურნალობის კურსის ჩატარება. მკურნალობა უნდა განხორციელ-

დეს ისეთი ფორმით, როგორსაც ექიმი იტყვის, აბების მიღება იქნება ეს, ნემსის გაპეტება, ოპერაცია თუ სხვა. როდესაც წმ. შუამავალს მკურნალობის შესახებ პკითხეს, მან ბრძანა, რომ ავად გახდომის შემთხვევაში მკურნალობა აუცილებელი იყო, რადგან ნებიმიერი დაავადების საპირისპიროდ ღმერთმა მისი წამალიც გააჩინა. მკურნალობა რელიგიური ვალდებულებაა, ხოლო მკურნალობის უგულებელყოფა ცოდვაა.

თანამედროვე მედიცინის პირობებში მხედველობის, სმენის, მეტყველების და სხვა მსგავსი შეზღუდული შესაძლებლობები განკურნებადია. მაგალითად, თუ კატარაქტის მიზეზით მხედველობა დაქვეითებულია, ეს ოპერაციით განკურნებას ექვემდებარება.

გარდა ამისა მშობლები ვალდებული არიან ისეთი ყურადღებით აღზარდონ ბავშვები, რომ დაუდევრობის მიზეზით შეზღუდული შესაძლებლობები არ ჩამოუყალიბდეთ. მშობლებმა უნდა იცოდნენ თუ რა იწვევს შეზღუდულ შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო და საგზაო უსაფრთხოების დაცვას და ამასთანავე ისეთი ნივთიერებების მიმართ სიფრთხილეს, როგორიცაა ნიკოტინი, ალკოჰოლი და ნარკოტიკები. თუ ადამიანს ერთხელ უკვე ჩამოუყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობები და დაინვალიდდა ისეთი

სახოფილებრივი მინიჭა უწარშესრულება

ფორმით, რომ მკურნალობას აღარ ექვემდებარება, ასეთ დროს საჭიროა მოთმინების და სიმტკიცის გამოჩენა და მისი მდგომარეობის ისეთნაირად მიღება, როგორიც არის. ამგვარი მოქმედებით ადამიანი მაღლს მოიგებს და სულიერების საფეხურზე მაღლა აიწევს.

4. შესრულებული შესძლებლობების შენიშვნა სულიერი პრინციპები

ადამიანი თავს გადახდენილ უბედურებას თუ მოთმინებით და სიმტკიცით შეხვდება, არ დაკარგავს რწმენას და ურწმუნოების გზას არ დაადგება, ეს მისთვის მიტევების მიზეზი გახდება და საიქიოში მაღალ საფეხურს დაიმკვიდრებს.



1) ცოდნებისთვის სისხლი და შესძინავი მაცე- უების მახება

„მორწმუნე ადამიანს რაიმე ტკივილი, დაღლილობა, ავადმყოფობა და უფრო მე-
ტიც უბრალო სევდაც რომ შეეხოს, ეს მისი
გარკვეული ცოდვების მიტევების მიზეზი
გახდება“ (მუსლიმ, ბირრ, 52)

„მორწმუნე ადამიანს რაც არ უნდა და-
ემართოს, ფეხში ეკალიც რომ შეერჭოს,
ღმერთი ცოდვების ერთ ნაწილს მიუტე-
ვებს“. (ბუპარი. მერდა 1)

2. სულიერების სივრცეები ამილენი

„და ყველასთვისაა ხარისხები, რაც უპეტ-
ბიათ, და ღმერთი შენი როდია უგულისყურო
იმისადმი, რასაც აკეთებენ. (სურა ენ'ამ 132)

თუ მორწმუნე ადამიანი სულიერების
მაღალ საფეხურს ღვთისმსახურებით ვერ
შესწოდა ღმერთი მას განსაცდელს მოუვ-
ლენს და უნარს საიმისოდ, რომ ეს ყველა-
ფერი მოითმინოს, ხოლო ამის შემდეგ მია-
ნიჭებს უთვალავ მადლს და ადამალლებს.
განსაცდელის მიზეზით ცოდვების მიტევე-
ბა ხდება. ამრიგად ადამიანი სულიერების
საფეხურზე მაღლა იწევს. (იხ. სურა ზუმერი 39/10)

ეს ყველაფერი გადმოცემულია შემდეგ
პადისში:

სახოფილებრივი მინიჭით უზრუნველყოფა

„ოუ კი მორწმუნე ღვთით დადგენილ სულიერ სიმაღლეს ვერ შესწვდა დმერთი მას, ან მის ქონებას, ან შვილს რაიმე განსაცდელს მოუვლენს და მას მოთმინების უნარით დააჯილდოებს. ამრიგად ეს მორწმუნე ღვთით დადგენილ სულიერების საფეხურამდე ამაღლდება.“ (აჟმედ იბნ ჰანბელ, მუსნედ, 5, 272)

წმ. შუამავლის სწავლების მიხედვით დმერთი ასე ბრძანებდა:

„როდესაც ჩემს მონას გამოცდის მიზნით ორივე თვალს წავართმევ და ის ამას მოითმენს, სამაგიეროდ მე მას სამოთხეთი დავაჯილდოვებ“. (ბჟჰარი, მურდა, 7)

მორწმუნეთა თავს დამტყდარი განსაცდელი არათუ საზიანოა მათვის, არამედ სასიკეთო და სასარგებლოა. ეს იმიტომ, რომ ყოველი განსაცდელი მორწმუნე ადამიანისთვის მაღლის მოგებისა და ცოდვებისგან განთავისუფლების მიზეზი ხდება. ეს ყველაფერი კი მხოლოდ მოთმინების შედეგად მიიღწევა.

5. ჟენერული შესძლებლობების აღიმასწება და სოციალური ურთიერთობების დიდ

მნიშვნელობას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით ჯანმრთელი და უნარშეზღუდული ადამიანი თანაბარია და რაიმე განსხვავებას არ ექვემდებარება. თუმცა, იმ ადამიანებს ვისაც დახმარება სჭირდებათ უფრო მეტი ყურადღება ექცევათ და მზრუნველობის ქვეშ არიან და ისლამი ამას ხელს უწყობს.

წმ. შუამავალი მუპამმედი თავად ეხმარებოდა ყველას, ვისაც ეს სჭირდებოდა. ის ზრუნავდა გაჭირვეულებზე, ავადმყოფებზე, უნარშეზღუდულებზე და სხვა. შუამავალი ბრძანებდა, რომ ბრძანებ გზის გაგნებაში დახმარება, ყრუ-მუნჯებზე მათთვის გასაგები საშუალებებით კომუნიკაცია, გაჭირვებულებზე შესაბამისი დახმარება მნიშვნელოვანი სიკეთე და მადლია. შუამავალი უნარშეზღუდულებს საზოგადოების ჩვეულებრივ წევრებად განიხილავდა. (აჟმედ იბნ ჰანბელი, მუსნედ 2, 350)

ცნობილია, რომ წმ. შუამავალი უნარშეზღუდულებზე მანამდეც ზრუნავდა, სანამ შუამავლური მიისიით დაჯილდოვდებოდა. ის ყოველთვის ქომაგობდა სუსტ და უმწეო ადამიანებს, რომლებსაც საკუთარ თავზე მიხედვაც კი არ შეეძლოთ.

დაავადებულ და უნარშეზღუდულ ადამიანებთან ურთიერთობისას შემდეგ ფაქტორებს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

1. შეცვლული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ლარნებული მოჰკობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დირსეული მოქცევა, მათი დაფასება და მათდამი ქცევების გაკონტროლება მათ სულიერ მდგომარეობაზე დადგებითად აისახება და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი მის გამოჯანმრთელობას ხელს შეუწყობს. მითუმეტეს, ყველამ ვიცით, რომ წმ. შუამავალი სწორედ ასე იქცეოდა საზოგადოების იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ჰქვიათ. შუამავლის ერთ-ერთი მეგობართაგანი, მედინელი ‘ითბან იბნ მალიქი ბრმა იყო. ამის მიუხედავად ‘ითბანი ბედირის ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. ;ითბალი დამეში, განსაკუთრებით კი ცუდ ამინდებში მეჩეთში წასვლას ვერ ახერხებდა და თუ მიდიოდა ძალიან წვალობდა. მან სოხოვა შუამავალს ნება მიეცა სახლში შეესრულებინა ლოცვა და ამის მიზეზიც აუხსნა. წმ. შუამავალი ‘ითბანს სახლში ესტუმრა და უთხრა, სად სურდა ლოცვის შესრულება. ‘ითბანმა ლოცვის შესასრულებლად შერჩეული ადგილი აჩვენა. შუამავალმა იმ ადგილას ლოცვა თავად შეასრულა. ამის შემდეგ ცოტა ხანი კიდე დარჩა იქ. ‘ითბანმა კი შუამავალს და მის მეგობრებს ვახშმით გაუმასპინძლდა.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ შუამავალი უნარშეზღუდულებს დიდ ყურადღებას აქცევდა და მათდამი თბილი და გულისხმიური დამოკიდებულება ჰქონდა. ის დათანხმდა ‘ითბანის თხოვნას, სახლშიც ესტუმრა, ლოცვა შეასრულა და მის მიერ მირთმეული საჭმელიც მიირთვა.

2. შეხელული შეხაძლებლობის აღამისნები უნდა მოგანიხილოს და მოიგაითხოს.

ავადმყოფების მონახულება და მათ მიმართ ყურადღების გამოჩენა, ისლამის მიხედვით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და კარგი ქცევაა. ამგვარი ქმედება დაღმითად მოქმედებს მათი გამოჯანმრთელების პროცესზე. ავადმყოფების მონახულება რელიგიური და მორალური ვალდებულებაა. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „დააპურეთ მშივრები და ავადმყოფები მოინახულეთ“. ამრიგად, შუამავალი მოგვიწოდებს, რომ ავადმყოფებს, გაჭირვებულებს და უნარშეზღუდულებს ყურადღება მივაქციოთ და მათდამი მზრუნველობა გამოვიჩინოთ.

შუამავლის გადმოცემის მიხედვით ღმერთი განკითხვის დღეს ადამიანს ასეთ შეკითხვას დაუსვამს:

საზოგადოებრივი მანათია უნარშესავარულება

-ადამიანო, ავად რომ ვიყავი რატომ არ მომინახულე?

-ღმერთო, შენ სამყაროს გამჩენი ხარ. როგორ შემეძლო მომენახულებინე?

-ერთხელ, ჩემი გაჩენილი მონა ავად იყო და შენ არ მოინახულე. იქ რომ მისულიყავი მასთან მეც მიხილავდი.

- ადამიანო, საჭმელი გთხოვე და არ დაპურე.

-ღმერთო, შენ სამყაროს პატრონი ხარ. მე როგორ უნდა დამეპურებინე?

-გახსოვს, ერთ-ერთმა ჩემმა გაჩენილმა მონამ შენთან მოვიდა და გთხოვა ის დაგეპურებინა. შენ კი უარი უთხარი და არ დააპურე. შენ ის დაგეპურებინა მე იქ მიხილავდი.

-ადამიანო, შენგან წყალი ვითხოვე და წყალი არ დამალევინე.

-ღმერთო, შენ ხომ ყველაფრის მფლობელი ხარ, მე როგორ შემეძლო შენთვის წყალი მომეწოდებინა?

- გახსოვს ერთმა ადამიანმა გთხოვა წყალი და შენ მას წყალი არ მიაწოდე. მისთვის რომ წყალი მიგერთმია მე მასთან მიხილავდი.

და ბოლოს, ავადმყოფის მონახულება მუსლიმის მუსლიმისადმი ვალდებულებაა.

3. შენერეული შესძლებლის ქრისტი ყოველწლიურ დამართვის უნდა გვეთავა

ჩვენი სარწმუნოება მოგვიწოდებს ვიზურულო ავადმყოფებზე და უნარშეზღუდულებზე და ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ. ამგვარი საქციელი დიდი მადლია. ბრძის გზაზე დადგენა დახმარება, ყრუ-მუნჯზე ყურადღების მიქცევა და მოძრაობაშეზღუდულზე გადადგილებაში დახმარება მოწყალებად ითვლება. (აპედ იბნ ჰანბელ, მუსნედ, 2, 350)

შუამავლის მეგობრები რელიგიის ამ მოწოდებას ყოველთვის გულდასმით ასრულებდნენ. მაგალითად, ‘ებუდურრააპმან იბნ’ ქაბი დაბრმავებულ მამას სულ ეხმარებოდა და მეჩეთში დაყავდა. (იბნ მაჯე, იქმე, 78)

შმ. შუამავალი მუდამ სუსტების, ავადმყოფების, დარიბების და საზოგადოების სხვა ჩაგრული ფენის მეგობარი და ქომაგი იყო. მან უნარშეზღუდულებზე დახმარების გაწევა და თანადგომა მოწყალებად გამოაცხადა.

ერთხელ შუამავალმა ბრძანა, რომ მოწყალება ყოველდღე უნდა გაიცეს. იქ მყოფთაგან ებუ ზერმა იკითხა, ყოველდღე როგორ შევძლებო მოწყალების გაცემას, საამისოდ

საზოგადოებრივი მინიჭილებულება

შესაძლებლობა არ გაგვაჩნიაო. ამის თაობაზე შუამავალმა ბრძანა:

„მოწყალების მრავალი ფორმა არსებობს: ალლაჰის ექტერ, სუბკანალლაჲ, ლაა ილააჲ ილლალლაჲ, ესთედფირულლაჲ, სიკეთისკენ მოუწოდეთ და ბოროტება დაგმეთ, ადამიანების სავალი გზიდან ქვების, და სხვა ხელისშემშლელი საგნების აღება, ბრმებზე ხელის შეშველება და გზის ჩვენება, ყრუ-მუნჯზე მისთვის გასაგები ფორმით ახსნა, დარდიანის ნუგეშისცემა, დავრდომილის წამოყენება, ყველა ესენი და მსგავსი მოწყალებაა.“



გაჭირვებულებსა და უნარშეზღუდულებზე დახმარების მოწყალებად გამოცხადე-

ბასთან ერთად, მათ მიმართ უხეში ქცევა, განგებ შეცდენა და მოტყუება კატეგორიულად დაგმობილია. ამგვარი ქცევა მიუღებელი და დაწყევლილია.

დმერთი შეეწევა მას, ვინც ადამიანებს ეხმარება.

„ვინც მორწმუნე ძმის საჭიროებას და-აკმაყოფილებს და დაეხმარება, დმერთი მის საჭიროებებს დააკმაყოფილებს. ვინც მორწმუნე ძმას გაჭირვებისგან დაიხსნის, განკითხვის დღეს დმერთი მას ერთი გასაჭირისგან გაათავისუფლებს.“ (ბუპარი, მუხლიმ, 3)

„მორწმუნენი ერთი სხეულის მსგავსნი არიან. თუ ადამიანს ერთი თვალი ატკივდება ამის გამო მთელი სხეული შეწუხდება. თუ ადამიანს თავი ასტკივდება, ამას მთელი სხეული განიცდის“.

4. შეზღუდული შეხვდებლობის შესწორების დამა-სწორებელი სისტემის შემთხვევა

უნარშეზღუდულები და ავადმყოფები ზოგადად ძალიან მგრძნობიარენი არიან. სულ მცირე დამამცირებელი რამ მათზე ძალზე მტკივნეულად მოქმედებს. განსაკუთრებით კი მიმართვისას უნდა გამოვიჩინოთ

ყურადღება და ვეცადოთ რომ თავმოყვარეობა არ შევულახოთ. ეს ჩვენი რელიგიური და ზნეობრივი ვალდებულებაა.

ადამიანებზე ქაჩალის, ბრმის, კოჭლის და მსგავსი მეტსახელების შერქმევა სასტიკად მიუღებელია. შუამავალი ბრძანებდა, რომ რაიმის მიმართ გადამეტებული სიყვარული ადამიანებს აბრმავებსო და ამას სიტყვას ბუნებრივია გადატანითი მნიშვნელობით იყენებდა. პირდაპირი მნიშვნელობით ბრმა, ან მუნჯი ან კოჭლი არავისთვის უწოდებია. ის მუდმივად წინააღმდეგი იყო პიროვნული ნაკლის გამომზეურებისა და მიმდევრებსაც ამას მოუწოდებდა.

წმ. შუამავლის მეუღლის აიშეს მონაცემლის მიხედვით, ერთხელ წმ. შუამავალს მისთვის მკაცრად უსაყვედურია, როდესაც მან ვინმე ქალის საფიქს შესახებ თქვა „თითისტოლა ქალია“ და ამით გამოხატა საფიქს ტანდაბლობა.

ამგვარი მაგალითებიდან ჩანს, რომ ადამიანი მისი ნაკლის მიხედვით არ უნდა შევაფასოთ და მითუმეტეს ეს არ უნდა გამოვხატოთ. უფრო მეტიც, ჯანმრთელი ადამიანის რომელიმე პიროვნული თვისების დაწუნებაც მიუღებელია, მაგალითად ხმის, სხეულის აგებულების, კანის ფერის, ლაპარაკის მანერის და მსგავსი. წმ. შუამავალი

ადამიანების დაცინვას კრძალავდა და ასე ბრძანებდა: „შენი მორწმუნე ძმის დადრდმა არ გაგაცინოს. მოგვიანებით ღმერთი მას შეიწყალებს და მის დღეშ შენ ჩაგაგდებს“.

(თირმიზი, ყიამე, 54)

5. შესაძლებლების აღმასხვების წელი და პრინციპების განვითარების შესაძლებლების სამუშაოების უნდა პრინციპი

იმ ადამიანებისთვის პროფესიული და რელიგიური განათლების მიცემა, რომლებსაც ლაპარაკის, სმენის, მხედველობის და სხვა უნარშეზღუდულობა ან სხვა სახის გონიერივი ან ფიზიკური პრობლემები გააჩნიათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს უნარშეზღუდულ და ავადმყოფი ნათესავების განათლებას.

ამ პროცესში ოჯახის ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ოჯახებმა უნდა იცოდნენ საიმისოდ მოქცევა, რათა ბავშვი უნარშეზღუდული და ინგალიდი არ დაიბადოს. ასე უნდა უფრთხილდებოდნენ გაზრდის პროცესში, რათა მოზარდი დაუდევრობის შედეგად არ დაინვალიდდეს. საამისო პრევენციულ ღონისძიებებს შორის უმთავრე-

სია ახლო ნათესავებს შორის ქორწინებისგან თავის შეკავება, ორსულობისას სიგარეტის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღებისგან თავის შეკავეა და სხვა.

ადამიანის ორგანიზმში რაიმე დარღვევა და დაავადება რაც უფრო ადრე იქნება აღმოჩენილი და მკურნალობა რაც უფრო მაღე დაიწყება მითუფრო კარგი იქნება შედეგი. ამიტომ, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშრეით ოჯახების ჩართულობა, მათი ინფორმირებულობა უკიდურესად მნიშვნელოვანი ფაქტორია. უნარშეზღუდულის რეაბილიტაციის პროცესში ოჯახის წევრების ცოდნა და საკითხთან დაკავშირებული ინფორმირებულობა წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

სახელმწიფოც და ოჯახიც ვალდებული არიან ყურადღება მიაქციონ, რათა პიროვნება რაღაც ფორმით არ დაინვალიდდეს. საამისოდ საჭიროა მეტი ინფორმირებულობა და უსაფრთხოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა და სხვა. სახელმწიფო და ოჯახი ასევე ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ბავშვებს, რომლებსაც დაინვალიდება ემუქრებათ და ინვალიდობის რისკი და სირთულე მინიმუმამდე დაიყვანონ.

თუ ყოველგვარი მცდელობისა და პრევენციის მიუხედავად ბავშვი ინვალიდი დაიბადა ან შემდგომში დაინვალიდდა, ამის

გამო ზედმეტი და გადაჭარბებული წუხილი და გოდება არ არის საჭირო. ამ მდგომარეობაში მყოფმა მშობლებმა გამოსავალის ძიება უნდა დაიწყონ, მკურნალობას მიმართონ, მოითმინონ და ასევე კარგი იქნება თუ მიმართავენ ფსიქოლოგსაც დახმარებისათვის. ფსიქოლოგის რჩევები ნამდვილად გამოადგებათ როგორც მათ, ისე უნარშეზღუდულ შვილს.



ინვალიდი ბავშვების საზოგადოებისგან დამალვა, მათ გამო სირცხვილის შეგრძნება, თავის დამცირებულად მიჩნევა მიუღებელი საქციელია. ასევე მიუღებელია აბორტი იმ მიზეზით, რომ შეიძლება ბავშვი ინვალიდი გაჩნდეს. ადამიანი ღმერთისგან მომდინარე ყველაფრისთვის კმაყოფილი უნდა იყოს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ქვეყანა

სახოფლიგბრუ მინიჭა უნარშესავარუება

გამოცდის ადგილია. გამოცდას ვინც კარგად გაივლის იმქვეყნად დაჯილდოვდება. ინვალიდებს კი მზრუნველობა განსაკუთრებით სჭირდებათ და მათზე ზრუნვა დიდი მაღლია. შეიძლება დმერთმა ამის გამო შეიწყალოს ადამიანი და სამოთხით დააჯილდოვოს.

სახელმწიფოსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დიდი მოვალეობები აკისრიათ. სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ოჯახების ინფორმირებულობა და უნარშეზღუდულათა რეაბილიტაციისთვის დახმარება. ამ მხრივ მომუშავე ორგანიზაციებისა და ფონდებზე დახმარება და თანადგომა ჩვენი ადამიანური, რელიგიური და სოციალური ვალდებულებაა.



6. უნარშეღებულების საფრთხო ძრობების შემთხვევაში სამყალება

ოჯახები, რომლებსაც უნარშეღებული ბავშვი ყავთ უნდა ჩაერთონ პროგრამაში, სადაც მათ ფსიქოლოგიურად და სოციალური კუთხით დაეხმარებიან. ასევე მნიშვნელოვანია მათთვის გარკვეული სოციალური გარანტიების შექმნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ამბავი გაითვალისწინონ დამსაქმებლებმა და სახელმწიფომ და შესაძლებლობების ფარგლებში, უნარშეღებულები დაასაქმონ. ეს მათ დაეხმარება როგორც მატერიალურა, ისე ფსიქოლოგიურადაც და ისინი ოჯახის ტვირთად აღარ იგრძნობენ თავს.

შუამავალი ბრძანებდა: „თუ გარდაცვლილი ქონებას დატოვებს ის თავის მემკვიდრეს ეკუთვნის, ხოლო თუ გარდაცვლილი მისახედ ადამიანებს დატოვებს, მათზე ზრუნვა მე მევალება“. (ბუჭარი, ფერაიზ 25) გამომდინარე აქდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა გააჩნიათ მმართველებს საზოგადოების და განსაკუთრებით კი უნარშეზღუდულების, ავადმყოფებისა და სხვა მზრუნველობამოკლებულების მიმართ. შუამავალი იცავდა და ზრუნავდა ინვალიდებსა და მზრუნველობა მოკლებლ ადამიანებზე. ცდილობდა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით დაესაქმებინა ისინი და მათი საზოგადოებასთან ინტეგრაცია მოეხდინა. შუამავალი არ თვლიდა რომ უნარშეზღუდულები საზოგადოების ტვირთი იყვნენ და უნდა ემათხოვრათ.

პირიქით, ის ცდილობდა დაესაქმებინა და შეძლებისდაგვარად საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში ჩაება ისინი. მაგალითად მუ’აზ იბნ ჯებელი, რომელიც კოჭლი იყო, შუამავალმა იემენის მმართველად გაგზავნა. ‘ედულლაჰ ბინ უმმი მექ-თუმი მხედველობის უნარშეზღუდული იყო, მაგრამ შუამავალმა მას 13-ჯერ ჩააბარა მედინას მართვა, როცა თვითონ ქალაქიდან გადიოდა. გარდა ამისა, ‘ებდულლაჰ ბინ უმმი მექთუმი დიდი ხნის განმავლობაში,

მექასა და მედინაში მუეზინის მოვალეობას ასრულებდა.

შუამავალის „ასპაბს“ შორის ‘ითბან იბნ მალიქი ასევე მხედველობის უნარშეზღუდული იყო. შუამავლის ნებართვით ის თავისი გვარი იმამობას ანუ წინამდლოლობას ეწეოდა. ყველა ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ შუამავალი უნარშეზღუდულებს თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში რთავდა და შანსს აძლევდა საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე ეკეთებინათ. ამგვარი დამოკიდებულება მართლაც სამაგალითოა მომავალი თაობებისთვის.

დისტანციული

ადამიანი ან უნარშეზღუდულია, ან ახლობელი ყავს უნარშეზღუდული ან კიდევ ინვალიდობის პოტენციური კანდიდატია. გამომდინარე აქედან ეს თემა ყველას შეეხება. ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით შიში კი არ არის საჭირო, არამედ სიფრთხილე და ყურადღება. ჩვენი ძირითადი მოვალეობაა ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველაფერი ვიცოდეთ და რაც შეიძლება მეტად იფორმირებულები ვიყოთ.

ღმერთი ადამიანებს რწმენის, ღვთისმ-სახურების, ღვთისმოშეობით და საქციუ-ლის მიხედვით აფასებს და არა აღნაგობის, კანის ფერის, ეთნიკური კუთვნილების, სქე-სისა და მსგავსი ფაქტორების მიხედვით.

ყურანში ადამიანის შეზღუდულ შესაძ-ლებლობებზე ხშირადაა საუბარი და ეს საკითხი ნახსენებია როგორც პირდაპირი გაგებით, ისე გადატანითი მნიშვნელობი-თაც. ძირითადად საუბარია მხედველობის, სმენის, მეტყველების, ორთოპედიულ და გო-ნებრივ უნარშეზღუდულობაზე.

როდესაც უნარშეზღუდულობის შესახებ გადატანითი მნიშვნელობითაა საუბარი, აქ იგულისხმება ადამიანი, რომელიც ღვთის სიტყვას ვერ გებულობს, არ ისმენს და ღვ-თიურ სასწაულებს ვერ ხედავს. ასევე საუ-ბარია საიქიოში სიბრმავეზე, სიმუნჯესა და სხვა უნარშეზღუდულობაზე, რაც ურწმუნო-თა ხვედრია.

ღმერთმა ადამიანი საუკეთესო ფორმით გააჩინა და ადამიანის სულიერი და ფიზი-კური სილამაზის დაცვა მნიშვნელოვანი მოვალეობაა. ამ მოვალეობის უგულებელ-ეოფა ადამიანებში მრავალ პრობლემებს იწვევს და მათ შორის ინვალიდობას.

გარდა ამისა ადამიანი სიცოცხლისა და სიკვდილის გზით მუდმივად გამოცდის მდგომარეობაშია. ადამიანი ზოგჯერ უხვი წყალობით, ზოგჯერ კი განსაცდელით გამოიცდება. ამიტომ თავს გადახდენილი ყოველი განსაცდელის მიზეზი ყოველთვის თვითონ ადამიანი შეიძლება არ იყოს. დვორული გამოცდის გარდა შეიძლება პრობლემების მიზეზი თვითონ ადამიანის, ოჯახის, გარემოს დაუდევრობა ან სხვა მსგავსი ფაქტორი იყოს.

განსაცდელი რა მიზეზითაც არ უნდა იყოს მოვლენილი, უპირველეს ყოვლისა ადამიანს ევალება სიმშვიდე და მოთმინება. სიმშვიდე და მოთმინება ხელს არ უშლის იმას, რომ ადამიანმა პარალელურად გამოსავალი ეძებოს და მკურნალობის გზებს მიმართოს. ამ გზების ძიებისას ადამიანი პარალელურად უნდა ფიქრობდეს, რომ ეს ყველაფერი დმერთის ნებით მოხდა. დმერთს რომ არ ენებებინა არ მოხდებოდა. შესაბამისად ამაში არის სიკეთე. ამგვარი მიღვომა ადამიანს დაამშვიდებს და ამასთანავე რწმენას გაუძლიერებს.

მრავალი ადამიანი დაბადებიდან ან შემდგომში გადატანილი ტრავმის შედეგად დაინგვალიდებულა. ვინ იცის ვის რა მოელის. შეიძლება ნებისმიერს შეემთხვეს მსგავსი რამ და დაინგვალიდეს. დმერთმა

ყველა დაიფაროს. ზოგი მოძრაობის უნარს კარგავს, კიდურების ამპუტაციას უკეთებენ, ან დაბრმავდება, ან დაყრუვდება და სხვა. ამიტომ ერთის მხრივ აუცილებელია ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის სიფრთხილე გამოვიჩინოთ და პრევენციულ ზომებს მივმართოთ. მეორეს მხრივ კი უკვე დაინვალიდებული ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის უნდა ვიზრუნოთ. ასევე ხელი უნდა შევუწყოთ როგორც მათი ისე ოჯახისა და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობას.

ავადმყოფები და ინვალიდები განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ უნდა გვყავდეს. ისინი უნდა დავაფასოთ და მათი გული მოვიგოთ. შეძლებისდაგვარად უნდა ვეცადოთ მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია და ცხოვრება მაქსიმალურად გავუადვილოთ. ასევე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი იოლი გადაადგილებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ ისეთ ოჯახებს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები ცხოვრობენ. ამასთანავე შესაბამისი პირობების ფარგლებში უნდა ვეცადოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაფერის სამუშაოზე დასაქმება. ამრიგად ისინი იგრძნობენ იმ ბედნიერებას, რასაც საკუთარი სარჩოს მოპოვება ჰქვია.

ასევე მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლება, რათა შედარებით ფართო ასპარეზი გააჩნდეთ. დაუშვებელია მათ მიმართ ღირსების შემლახავი დამოკიდებულება და დამამცირებელი მიმართვა. ეს ადამიანის მორალური და რელიგიური ვალდებულებაა. ამიტომ კატეგორიულად მიუღებელია დამამცირებელი მეტსახელების შერქმევა. მაგალითად, ბრძა, კოჭლი, ყრუ და სხვა. ამასთანავე არ შეიძლება მათი მისამართით ისეთი ხუმრობა, რაც მათ დამამცირებს და გულს ატკენს.

